ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3360923

ნომერი: AR1506762

თარიღი : 24.05.2017

გაცემის თარიღი : 29.06.2017

გაცნობის თარიღი : 29.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18-24-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 03/039 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18-24-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 03/040 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18-24-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N 24 , მიმდებარედ , ნაკვეთი 03/034 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიზიყი , N18, N20, N22, N24, N26 , N24-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ფანცხავა პ/ნ 01001017652
- თბილისი გლდანი II მ/რ კორ. 28 ბ. 9

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3251891 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 24 მაისს №AR1506762 განცხადებით მომართა გიორგი ფანცხავამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3251891 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა

შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3251891 ბრძანებით, N01.19.24.003.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისათვის (ფართობი: 40395 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 2 (ს–2)-ში ავტოსამრეცხაო და საწყობის რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს საპროექტო ობიექტის ფუნქციაში ავტოსახელოსნო-ავტოსერვისის რეკონსტრუქციის დამატებას. ამასთან, განხორციელდა მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება კოორდინატთა სისტემაში ფართობის და საკადასტრო მონაცემების უცვლელად.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული ცვლილებების ასახვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3251891 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3251891 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტს დაემატოს: ავტოსახელოსნო-ავტოსერვისი;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3251891 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა (განცხადების ნომერი: 882017332827 მომზადების თარიღი: 26/06/2017; საკადასტრო კოდი: 01.19.24.003.045 ფართობი: 40395 კვ.მ.)
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 19 მაისის №3251891 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.